

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ლოქსი „(ს/ნ 404853592)

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

- 1)ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2)მოგება-ზარალის ანგარიშგება
- 3)საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- 3)ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2019	12/31/2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	170,617	223,758
საინვესტიციო ქონება	0	0
	170,617	223,758
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	156,653	149,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	58,949	56,547
მარაგები	1,621,409	1,505,742
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	0	0
საგადასახადო აქტივი	27,439	41,658
	1,864,450	1,753,631
მთლიანი აქტივები	2,035,067	1,977,389
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	134,902	151,617
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	901,343	618,123
	1,036,245	769,740
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	0	0
	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	0	66,220
გადავადებული შემოსავალი	7,119	7,119
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	844,331	986,810
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გადასახდელი პროცენტი	15,388	15,516
გადასახდელი დივიდენდი	131,984	131,984
	998,822	1,207,649
მთლიანი ვალდებულებები	998,822	1,207,649
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	2,035,067	1,977,389

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		
	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	3,010,386	2,979,472
თვითღირებულება	(1,282,190)	(1,363,882)
საერთო მოგება	1,728,197	1,615,590
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(154,998)	(631,108)
მიწოდების დანახარჯები	(639,665)	(600)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(2,554)	(5,849)
სხვა ხარჯები	(493,994)	(624,050)
საოპერაციო მოგება	436,985	353,983
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	(3,918)	(6,215)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(3,918)	(6,215)
მოგება დაბეგვრამდე	433,066	347,768
მოგების გადასახადი	27,248	-
პერიოდის მოგება	460,314	347,768
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	460,314	347,768

**საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	94,733	0	279,856	374,588
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	56,884			56,884
მოგება წლის ბოლოს	-	-	347,768	347,768
გაცემული დივიდენდი	-	-	(9,501)	(9,501)
2018 წლის 31 დეკემბერი	151,617	-	618,123	769,740
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(16,716)			(16,716)
მოგება წლის ბოლოს	-	-	460,314	460,314
გაცემული დივიდენდი	-	-	(177,094)	(177,094)
2019 წლის 31 დეკემბერი	134,901	-	901,343	1,036,244

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლოქსი“ დარეგისტრირებულია მისამართზე: ქ.თბილისი, პეკინის 2.

შპს „ლოქსის“ 25%-ის წილის მფლობელი არის ლუიზა დათუკიშვილი (პ/ნ 13001026786), ლევან ნატროშვილი 5% (პ/ნ 01011000629), სიმონ შიშნიაშვილი 15% (პ/ნ 13001005892), გიორგი თედორაძე 30% (01024038396), ზაზა ნატროშვილი 25% (პ/ნ 01011001106). კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 60 თანამშრომელს.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით.საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, , აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები 5 წელი

ოფისის აღწურვილობა ინვენტარი - 5წელი

სატრანსპორტო საშუალებები -5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადის და აქტივის სასარგებლო ვადას შორის უმცირესი.

3.3 იჯარა

ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ

დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას. 2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება

(დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

3.8 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- მოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.9 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

შენიშვნა 1**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2018	2019
სავაჭრო მოთხოვნები	56,547	58,949
გადახდილი ავანსები	41,658	27,439
სულ	98,205	86,388

შენიშვნა 2**მარაგები**

	2018	2019
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	1,505,742	1,621,410
სულ	1,505,742	1,621,410

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1282190 ლარი (2018 წელს 1363900 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2018 წელს 0 ლარი),

შენიშვნა 3**გრძელვადიანი აქტივები**

	2018	2019
ძირითადი საშუალებები	223,758	170,617
საინვესტიციო ქონება	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	223,758	170,617

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, ცვეთის დარიცხვის მეთოდი არის წრფივი 5 წლის ვადით.

შენიშვნა 4

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	0	0
	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	66,220	0
გადავადებული შემოსავალი	7,119	7,119
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	986,810	844,331
საგადასახადო ვალდებულებები	-	0
გადასახდელი პროცენტი	15,516	15,388
გადასახდელი დივიდენდი	131,984	131,984
	1,207,649	998,822
მთლიანი ვალდებულებები	1,207,649	998,822

კომპანიას არ გააჩნია ბანკის სასესო ვალდებულებები, მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს დამფუძნებლისგან მიღებულ სესხს, მარაგები და ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული სესხის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა 5

saangariSgebo TarioRis Semdgomi movlenebi

angariSis wardgenis Semdgom iseT movlenebs adgili ar hqonia iseT movlenebs, romlebic gavlenas moaxdenda finansur aangariSgebaSi asaxul Tanxebsa da axsna-ganmartebiT SeniSvnebz.

შენიშვნა 6

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 17 იანვარი.



ხელმოწერა

თარიღი : 17.01.2020

